Euro Art

ევროპის ფერწერული ოფისი

Brand platform

GCC MALTA / VIPR

EuroArt - ახალი სოციალური პლატფორმაა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნებისა და მისი საქმიანობის პერსონიფიცირებას.

GCC-Malta/VIPR ახორციელებს სხვადასხვა ფორმატის კულტურულ, საგანმანათლებლო პროგრამებს, საერთაშორისო პროექტებს, ტრენინგებს, ღონისძიებების (ფორუმი, კონფერენცია, სიმპოზიუმი, გამოფენები, ქართული პროდუქციის წარდგენა, საერთაშორისო გასტროლები, ფოლკლორული, არტ, კლასიკური მუსიკის ფესტივალები...) მოწყობასა და ორგანიზებას, „საერთაშორისო პრომოუშენს„ საქართველოში, მალტის რესპუბლიკაში, ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში: **მალტა, პალერმო, შვეიცარია, ბარსელონა, კოსტა ბრავო- ესპანეთი, კანი- ნიცა- საფრანგეთი, მონტე-კარლო - მონაკო; სან-რემო- იტალია, შვედეთის სამეფო, საბერძნეთი,** ჩვენი გუნდის მიერ განხორციელებულია 100- ზე მეტი საერთაშორისო პროექტი და 11 სახელმწიფო გრანტი.

დიზაინი, ბეჭდვა: **Art UDG**
საკონტაქტო: artudg.ge@gmail.com

VIPR

GEORGIAN CULTURAL CENTER GCC - MALTA

ART UDG

Euro Art



თამარ ტურავიანი

„იმ საქმეს რასაც ვუძღვები ტრადიციების გაცოცხლება ჰქვია „

ტრადიციების დაცვა, სხვადასხვა კუთხის ორნამენტების მოძიება, ისტორიის გაცოცხლება თამარის შემოქმედებაში ყველაზე მნიშვნელოვანი ფასეულობაა. ტრადიცია უპირველესად გულისხმობს ისტორიის შეგრძნებას, გათანამედროვებას, ავთენტურობის შენარჩუნებას....

თამარის შემოქმედება თავისი ინდივიდუალიზმითა და გამორჩეულობით შემეცნებითი ხასიათის და ისტორიის მატარებელია

Euro Art

ქართული ანბანი, ნატურალური ტყავი; 40/35სმ

Euro Art

ზურგჩანთა ტყავი, ქართული ორნამენტი (ნაქარგობა)
ზომა-40-35 ძირის დიამეტრი 22

Euro Art

ბრენდის პერსონიფიცირება

თამარი თვითნასწავლი დიზაინერია, რომლისთვისაც სიცოცხლის მომცემი ძალა ოჯახური ტრადიციები და ადამიანური ურთიერთობებია. მისი პირველი ნამუშევრის მთავარი გმირი თამარის ძმა - ყველაზე დიდი გულშემატკივარია, რომელსაც ქართული ორნამენტებით მოქარგული ტყავის ბოთლის ჩასადები უსახსოვრა. მისი შემოქმედების მამოძრავებელი ღერძი შინაგანი სიმშვიდეა, მთავარი ღირებულება კი ისეთი ემოციით წარმართული შემოქმედებითი პროცესია, რომელიც ყველა ნამუშევრის ისტორიას აცოცხლებს.

თანი - გაბრწყინება, ახლის დაბადება, სხვადასხვა ფერთა გამა & უძველესი კულტურის სინთეზია, რომელსაც სიყვარულის და სიკეთის ელფერი დასდევს....

Euro Art

ზურგჩანთა ნატურალური ტყავი
ზომა-40-35 სმ

Euro Art

ახალგაზრდა დიზაინერის შემოქმედება მრავალფეროვანია. თავდაპირველად ქარგავდა. მის მიერ მოქარგული ნაჭრებიდან ხევსურული ორნამენტებით ტყავის საფულეებს, სამაჯურებს... ამზადებდა. ახლა კი მის ყველა ნივთზე ტრადიციული და თანამედროვე ორნამენტების ნაზავია.

თამარის შემოქმედების განსაკუთრებულობა ქარგვის პროცესში, მის მიერ შერჩეულ ფერთა გამაში გამოიხატება. ხევსურული კაშკაშა და სხვა კუთხის ორნამენტების პასტელის ფერთა გრადაციით ყველა ნივთი ხელით იკერება.

ნატურალური ტყავი

Euro Art

ნატურალური ტყავი

Euro Art



ნატურალური ზამში
ქართული ორნამენტებით

Euro Art

სანდლები ნატურალური ტყავით

ნაქსოვი ჩანთა

Euro Art

ნატურალური ტყავი

თამარმა სიღნაღში ტყავის კერვის უძველესი კულტურა გააცოცხლა. იგი ტყავს ყველა მიმართულებით იყენებს. კერავს: ჩანთებს, ქამრებს, ფეხსაცმელს (კედი, სანდლები...) სპეციალური ხის ხელსაწყოთი ტყავის გვერდებს ამუშავებს, სანთლით კი გარე საფარს. თანამედროვე გვერდები ხსნარით მუშავდება. ასეთი მეთოდით დამუშავებული გვერდები ლამაზი და ხარისხიანია - ნივთს დაზიანებისგან იცავს.

ხისძირიანი ჩანთები სიძველის ელფერითა და მაღალი ხარისხით გამორჩეული თამარის შემოქმედების სავიზიტო ბარათია.

ნატურალური ტყავი , ფუნქციურად გამოიყენება: ზურგზე, მხარზე, ხელზე. ზომა: 40/35, დიამეტრი 22 სმ

Euro Art

ჩანთა ხის ძირით.
დამუშავებულია სანთლით, რათა დაცული იყოს ნესტისგან და შეინარჩუნოს
ხარისხი. ზომა: 28/18, დიამეტრი 14 სმ

Euro Art

ჩანთა ხის ძირით.
დამუშავებულია სანთლით, რათა დაცული იყოს ნესტისგან და შეინარჩუნოს
ხარისხი. ზომა: 40/35, დიამეტრი 22 სმ

Euro Art

ქლაჩი, მწვანე, 25/16 სმ, ქართული ორნამენტი
(ნაქარგობა)

Euro Art

ქლაჩი-ტყავი, ნაქარგობა 22/24; 25/16

Euro Art



სათვალის ჩასადები
ნატურალური ტყავი

თამარი სპეციალობით ინგლისური ენის რეფერატია. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი. ბრენდი „თანი„ 2017 წელს სიღნაღში დაიბადა და მას მერე, ოჯახის წევრებთან ერთად ბრენდის განვითარებას ცდილობს. საგრანტო კონკურსშიც მიიღო მონაწილეობა და წარმოების გაზრდის მიზნით, დანადგარები შეიძინა.

დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა ბრენდის ლოგოს შექმნის პროცესს. სახელწოდება „თანი„ ქართული ანბანიდან არის აღებული (თ-თან) და ახლის დაბადებას ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ ბრენდის „თანის„ ლოგო შექმნა მხატვრმა და ზარების უბადლო ოსტატმა ლევან მეტრეველმა.

ნატურალური ტყავი, ელვაშესაკრავი, მოცულობითი ზომის.

Euro Art

ნატურალური ზამში,
ქართული ორნამენტით. ზომა 25/20

Euro Art

ზურგჩანთა ლეპტოპისთვის, სამგზავრო.
ნატურალური ტყავით და ორნამენტით.
ზომა 40/35

Euro Art

ახალგაზრდა დიზაინერი, თავისი ბრენდითა და ლოგოტიპით წარადგენს თავის შემოქმედებას. ღირსეულად იღებს მონაწილეობას გამოფენებსა და ფესტივალებში როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ: საბერძნეთი, გერმანია, იტალია.

იტალიაში, ქალაქ მილანში, ტყავის საერთაშორისო გამოფენაზე ოფიციალური მიწვევით წარსდგა ევროპელი დიზაინერების წინაშე და დიდი მოწონება დაიმსახურა.

Euro Art

45/30 სმ-მუქი ყავისფერი სამგზავრო ჩანთა

Euro Art

40/30 სმ.-სამგზავრო ჩანთა, ფერი - მუქი რიჟა
ნატურალური ტყავი

Euro Art

ნატურალური ტყავი

Euro Art

ნატურალური ტყავი, ზამში, ქართული ორნამენტი (ნაქარგობა)
ზომა: 27/18, დიამეტრი 14

Euro Art

„ჩემი ცხოვრება ფერადი და მრავალფეროვანია. შემოქმედებითი პროცესი სავსეა ბედნიერებით, ტკივილით, სიხარულით, იმედით.... ყველა ნივთში წარსულისა და ახლის ჭიდილია, რომელიც თავის ისტორიას წერს...

ჩემი შემოქმედებითი სამყარო უკიდეგანო სივრცეა, გალერეაა, სადაც ტრადიციები, წეს-ჩვეულებები ხელოვნების ნიმუშებით არის წარმოდგენილი და გადაეცემა თაობიდან თაობას„

- თამარ დურგლიშვილი

+995 599 508 599
tamunaacsesories@gmail.com
Tamuna Durglishvili